სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

ნუცუბიძის ქუჩა N 51ა
0160 თბილისი, საქართველო
+995 32 271 11 27
info@land.gov.ge

05 ოქტომბერი 2023

GOV N 1227/02

მოქალაქე ნინო აფაქიძეს (პ/ნ N61001070685)

მის: ქ. თბილისი ნ. ყიფშიძის ქ. N 8
ტელ: 551160669

ქალბატონო ნინო,

სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა ამავე სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართის [illegible] საშუალებით წარმოდგენილი თქვენი 2023 წლის 26 სექტემბრის განცხადება, რის თაობაზეც გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, 2023 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კერძოდ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში იჯარის უფლებით სულ გაცემულია 3496 ჰა საძოვარი, მათ შორის 2223,4 ჰა აუქციონის, ხოლო 1272,6 ჰა - პირდაპირი გადაცემის გზით. რაც შეეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტს, ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ამ დრომდე აღნიშნულ ტერიტორიაზე იჯარის უფლებით საძოვრების გადაცემა არ ფიქსირდება.

თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით კი, რომელიც შეეხება ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში იჯარით გასაცემი საძოვრების აუქციონში გამარჯვებულ პირების ვინაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ საძოვრების იჯარით გაცემის პროცედურები ხორციელდება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ და აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ ზემოხსენებულ სააგენტოს.

პატივისცემით,

სოფიკო სიჭინავა

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი